სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „აგრარული ტექნიკის შეკეთება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები: მიმოზა ღოლიჯაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ვალერი ჯაჯანიძე - დარგის ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **236098851**

სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ.შ-ის 2026 წლის 24 ივნისის №790788 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე/დარგის ექსპერტი, მიმოზა ღოლიჯაშვილი - წევრი, ვალერი ჯაჯანიძე - წევრი, დაევალა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარში სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აგრარული ტექნიკის შეკეთება" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პსდ-ს მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 14 ივლისს განახორციელა ვიზიტი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ტექნიკის შეკეთება“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია/ები არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ სამომავლოდ (დაახლოებით 2 წლის შემდეგ) უზრუნველყოს სასწავლო მიზნებისთვის გამოსადეგი (დაშლა-აწყობის მიზნით), თანამედროვე, ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი (ან ახალი) ტრაქტორის შეძენა;

2.2.1.5 განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს სხვადასხვა აგრარული ტექნიკის (ტრაქტორი, კომბაინი და სხვა) ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოს მოძიება და პრაქტიკული გამოყენება;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია დაწესებულებამ მის საკუთრებაში არსებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში აღმოფხვრას სტილისტიკური, გრამატიკული, ტექსტის წყობის, თუ სხვა სახის შეცდომები.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 17 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აგრარული ტექნიკის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრარული ტექნიკის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 15.07.2026 წლის №04-119 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	145
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №04-111 ბრძანებით (ბოლო ცვლილება, დირექტორის ბრძანება №04 – 122; 15.07.2026 წ.) დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“ მიხედვით, განსაზღვრულია კოლეჯის მიერ ახალი პროფესიული პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად კონკრეტული ინიციატივის შემთხვევაში, განსაზღვრული მოკვლევის საფუძველზე დირექტორის მიერ მტკიცდება პროგრამის შემუშავების ჯგუფი. კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აგრომექანიზაცია“ მოდიფიცირებულ ვერსიას, რაც საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილებითაა გამოწვეული, უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი წარმატებით ახორციელებდა სტანდარტის ცვლილებამდე არსებულ პროგრამას.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი იძლევა სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევები, როგორც რეგიონის ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე მოყვანილია კოლეჯის მიერ განხორციელებული კვლევა ,,აგრომექანიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების შესახებ, დასაქმების მაჩვენებელი საკუთარი პროფესიით შეადგენს 50%-ს. კოლეჯს აღნიშნული პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზნით მოპოვებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა, რაც დასტურდება დაწესებულებაში მიღებული კორესპონდენციით - სამინისტროს 16/06/2026 წლის MES 725321 წერილით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ტექნიკის შეკეთება“ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა „მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას. კოლეჯი მრავალპროფილურია, თუმცა მისი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა“. კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის №04-126 (ცვლილება:დირექტორის 09/03/2022 წ. №04-38 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და წარმოადგენს სრულ ზოგად განათლებას (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი) იმ შემთხვევაში, როდესაც მიღება ცხადდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სასწავლო პროცესი წარიმართება ე.წ. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მიღება ცხადდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და სასწავლო პროცესი წარიმართება ე.წ. ინტეგრირებული სასწავლო გეგმით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 12/07/2021 წლის №04-69 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციით „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებით, რეგისტრაციით, შერჩევით, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბებით და სხვა. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებას ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. აპლიკანტთა შერჩევა მესამე და მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ტესტირების, გასაუბრების, ან შემოქმედებითი ტურის, ან შემთხვევის განხილვის (ქეისი) მეთოდით, კონკრეტული დარგის შესაბამისი პროფესიული პროგრამის საჭიროების მიხედვით.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში მოქმედებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №04–03 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 20.01.2022 წლის №04-10 ბრძანება). წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აგრარული ტექნიკის შეკეთება“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი, მ.შ. ინტეგრირებულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლებაზე 15 პროფესიული სტუდენტი. პსდ-ს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი სალექციო აუდიტორია - A გარემო, 15 პროფესიულ სტუდენტზე, ერთი კომპ. კლასი - B სასწავლო გარემო, 15 პროფესიულ სტუდენტზე და ასევე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო - C გარემო შესაბამისი ინვენტარით 15 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ 30 სტუდენტის მიღების შემთხვევაში სასწავლო პროცესი იგეგმება 15-15 პროფესიულ სტუდენტზე, ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელშიაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯში არსებობს შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ზოგად მოდულებში არსებული ,,აღჭურვილობების ჩამონათვალის“ შესაბამისი მატერიალური რესურსით. აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯი წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც თავის მხრივ შესაბამისობაშია კოლეჯის გაცხადებულ სურვილთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ შემთხვევაში მიიღოს 15-15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური/საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №04-111 ბრძანებით (ბოლო ცვლილება, დირექტორის ბრძანება №04 – 122; 15.07.2026 წ.) დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“ საფუძველზე და შესაბამისად აღნიშნული უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 15/07/2026 წ, №04-119 ბრძანებით.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან, აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ დამუშავებულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „აგრარული ტექნიკის შეკეთება“ საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებას „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია;
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “აგრარული ტექნიკის შეკეთება“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “აგრარული ტექნიკის შეკეთება“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის “აგრარული ტექნიკის შეკეთება“ განმახორციელებლებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სსიპ კოლეჯის მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი A, B, C სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისობა - A სასწავლო გარემო აღჭურვილია სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, 15 ერთეული სტუდენტის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება და სხვა ინვენტარი; B გარემო მოწყობილია და აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის 15 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი მონაცემების 15 კომპიუტერით; C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია სასწავლო დანიშნულების მქონე ტრაქტორი, ტრაქტორის ძრავა, ძრავას და სხვა აგრეგატების ამოსაღები მოწყობილობები, ლითონის სამუშაო მაგიდები გირაგებით, იარაღების და სამარჯვების კომპლექტი, მოტობლოკური აგრეგატები, სათესი, სარგავი, სამუხრუჭო/საჭით მართვის სისტემის კომპონენტები და დანართით განსაზღვრული სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი. ინტეგრირებული ზოგადი განათლების მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯში არსებობს შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ზოგად მოდულებში არსებული ,,აღჭურვილობების ჩამონათვალის“ შესაბამისი მატერიალური რესურსით. *წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის მიხედვით კოლეჯს განხორციელების ფორმად მითითებული აქვს ,,იმიტირებულ სამუშაო გარემოში“, ამავდროულად პროგრამით გათვალისწინებული მოდულის ,,კომბაინის სამკალი, სალეწი, საბერტყი და დამაქუცმაცებელი მექანიზმების ტექნიკური სერვისი“ სწავლის შედეგების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მიღწევის მიზნით 2026 წლის 12 მაისს გაფორმებული აქვს მემორანდუმი რაიონულ კოოპერატივთან ,,დვალეთი", გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილი აქვს განაცხადის შევსების მომენტში ტექნიკური ხასიათის უზუსტობას და წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებას დაწესებულება გეგმავს კოოპერაციული მიდგომით, რეალურ სამუშაო გარემოში. მემორანდუმის დოკუმენტის თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია შეძლებს ერთდროულად მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი, დაუთმოს მათ მის მფლობელობაში არსებული საწარმოს მატერიალური რესურსი და ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის განხორციელებას, წარმოდგენილ მემორანდუმს დანართი 1 - ის სახით თან ახლავს მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე ვიზიტი, გადამოწმდა და დადასტურდა მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მოწყობილობა დანადგარების - არსებობა, ჩატარდა გასაუბრება ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, რომელთაც გამოთქვეს მზაობა სრული დახმარება აღმოუჩინონ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს და შეთანხმებული მოდულის განხორციელების პროცესში დაუთმონ მათ შესაბამისი მოწყობილობა და სივრცეები.

კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი ამ ეტაპზე სრულად ფარავს პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილ საჭიროებებს, მაგრამ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სასწავლო პროცესის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო ტრაქტორი - როგორც ტექმომსახურებისა და რემონტის, კერძოდ კი დაშლა-აწყობის სამუშაოების შესრულების ობიექტი ე.წ. ,,ცვეთადი აღჭურვილობის" კატეგორიაში გადის, აქედან გამომდინარე დაახლოებით 2 მიღების ფარგლებში ინტენსიური პრაქტიკული სასწავლო პროცესის პირობებში, აღნიშნული ტრაქტორი ე.წ. ,,ცვეთადი აღჭურვილობა" გამოუსადეგარი გახდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნებისთვის, შესაბამისად დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის მიერ ეძლევა რეკომენდაცია სამომავლოდ (გონივრულ ვადაში) უზრუნველყოს სასწავლო მიზნებისთვის გამოსადეგი, თანამედროვე, ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი (ან ახალი, სწავლებისთვის გამოდგება ექსპლუატაციიდან მოხსნილიც) ტრაქტორის შეძენა პროგრამის პრაქტიკული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით.

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ სამომავლოდ (დაახლოებით 2 წლის შემდეგ) უზრუნველყოს თანამედროვე, ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი (ან ახალი, სწავლებისთვის გამოდგება ექსპლუატაციიდან მოხსნილიც) ტრაქტორის შეძენა.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 30 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად (6) და ზოგად ინტეგრირებულ (13) მოდულებს, ხოლო 11 - პროფესიულ მოდულებს. ამ ეტაპზე, მასწავლებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ვიზიტის დროს გადამოწმდა და დადასტურდა მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით.

შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასტურდება, რომ დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა წარმოდგენილი ადამიანური რესურსით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირები სრულად აკმაყოფილებენ პსდ-ს მიერ პროფესიული მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და დაკავებულ პოზიციაზე მათი შერჩევა მოხდა კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულ მასწავლებლებს კოლეჯში განხორციელებული ძველი პროგრამის ფარგლებში აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილებაც, ასევე პროფესიულ მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი.

პირადი საქმეების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ პროფესიული მოდულების განმახორციელებლად შერჩეული პირები მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-პროგრამებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიულ განათლებაში სწავლება-შეფასების მეთოდების შიდა ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - დასწრების ფურცლები და ოქმები.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციისა მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით, ხოლო მასთან გასაუბრებით დადასტურდა მისი მზაობა პროგრამას უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 (ცვლილება, 24.05.2023 წლის №04-111 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“, შესაბამისად. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირებისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუდმივად წარმოებს ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალის შევსება.

აღსანიშნავია, რომ გარდა მოდულით განსაზღვრული სასწავლო რესურსისა, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში აუცილებელია გამოყენებულ იქნას კონკრეტული აგრარული ტექნიკის (ტრაქტორი, კომბაინი, მათი დამხმარე აგრეგატები და სხვა) ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია ქარხანა-დამამზადებლის, ან სხვა გამომცემლის მიერ, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის სახითაც იყოს წარმოდგენილი. დაწესებულებამ წარმოადგინა მის საკუთრებაში არსებული სასწავლო დანიშნულების მქონე ტექნიკის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები, რაც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია დაწესებულებამ მუდმივად იზრუნოს აღნიშნული ,,სერვის მანუალების“ განახლებაზე - ახალი აგრარული ტექნიკის ტექ-მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოების მოძიებაზე და მათი სასწავლო პროცესში გამოყენებაზე.

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს სხვადასხვა აგრარული ტექნიკის (ტრაქტორი, კომბაინი და სხვა) ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოს მოძიება და პრაქტიკული გამოყენება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულებაში მოქმედი კოლეჯის დირექტორის 13.12.2019 წლის №04-152 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 16/07/2026 წლის №04-123 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მე-5 თავში აღწერილია სპეციალური საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიდგომები და შესაბამისი მომსახურების გაწევის სხვა მექანიზმები, მათ შორის მოდიფიკაციისა და აკომოდაციის შესაძლებლობები და სასწავლო რესურსის ადაპტირების საკითხები. ინფორმაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობებისა და რესურსის საჭიროებების შესახებ დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გარემო და კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცეები სრულად ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირების ოპერირებისთვის. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო კორპუსში მოწყობილია პანდუსი, ბილიკები სსსმ/შშმ პირებისთვის, სველი წერტილები ყველა სართულზე და არის ლიფტი. კოლეჯს აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ სურვილის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო რესურსებით და სივრცეებით სარგებლობა.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში - ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადი იყო, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი, რომელიც შეადგენს 7 პროფესიულ სტუდენტს ერთი ჯგუფის შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “აგრარული ტექნიკის შეკეთება“ განსახორციელებლად საჭირო სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების ბრძანება;
- ,,სამტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აგრარული ტექნიკის შეკეთება" დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №04-26 ბრძანებით (ბოლო ცვლილება, დირექტორის ბრძანება №04 – 121; 15.07.2026 წ.) დამტკიცებული დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" შესაბამისად, განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კონკრეტული მექანიზმები და ღონისძიებები. კერძოდ დოკუმენტის მე-4 მუხლის თანახმად პროგრამების შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი იყენებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახორციელებს პროგრამის შეფასებას, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას, ე.წ. დემინგის ციკლს - ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე". პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. წარმოდგენილი დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები" დანართის სახით დამუშავებულია სხვადასხვა სახის კითხვარები, როგორც უკუკავშირის მექანიზმის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. კერძოდ, ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასებისთვის საჭირო კითხვარები პროფესიული სტუდენტისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, დუალური პროგრამების ინსტრუქტორისთვის, კურსდამთავრებულებისათვის და პარტნიორი ორგანიზაციისთვის.

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ანალიზის დროს კოლეჯი ასევე ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები დადგენილი რეგულაციის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.3.1.2 2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №04-111 ბრძანებით (ბოლო ცვლილება, დირექტორის ბრძანება №04 – 122; 15.07.2026 წ.) დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა" მე-5 მუხლის შესაბამისად, კოლეჯი განახორციელებს პროგრამაში ცვლილებების შეტანას და განვითარებას. პროგრამის შეფასების მიზნით გარკვეული პერიოდულობით წარმოებს პროგრამის ფარგლებში არსებული სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობების და შეფასების პროცესის ხარისხობრივი ანალიზი. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება, რომელიც წარმოებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სხვადასხვა კვლევების ჩატარების საშუალებით, ინფორმაციის დამუშავება, გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა, რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებების განხორციელება. წარმოდგენილი ღონისძიებები გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ტექნიკის შეკეთება“ განაცხადის დანართებში წარმოდგენილია 2 სასწავლო გეგმა (არაინეგრირებული და ინტეგრირებული სწავლების ფორმისთვის). სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება დაგეგმილი სასწავლო პროცესის ლოგიკური თანმიმდევრულობა, სადაც მკაცრადაა გათვალისწინებული მოდულების/კურსების წინაპირობები და სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვის ზღვრული ნორმები. აღსანიშნავია, რომ შემუშავებული სასწავლო გეგმები ითვალისწინებს გონივრულ დროით ინტერვალებს განმეორებითი შეფასებების ორგანიზებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამების სპეციფიკაზე მორგებული სალექციო ცხრილი და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კალენდარული გეგმები დამტკიცდება შესაბამისი მოდულების დაწყებამდე. სტუდენტთა დროული და ეფექტიანი ინფორმირების მიზნით, ცხრილი თვალსაჩინოდ გამოიკვრება დაწესებულების საჯარო სივრცეში, რაც უზრუნველყოფს მის საყოველთაო ხელმისაწვდომობას. ამასთანავე, ინფორმაციის ოპერატიულად გაზიარებისათვის აქტიურად იქნება გამოყენებული ციფრული საკომუნიკაციო არხები (სტუდენტური ჯგუფები და ჩატები სოციალურ ქსელ Facebook-ში).

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დოკუმენტების შესწავლით, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პედაგოგიურ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეფექტიანი მექანიზმები და გააჩნია სრული მზაობა, რათა პრაქტიკაში ეფექტიანად, გამჭვირვალედ და თანმიმდევრულად განახორციელოს საგანმანათლებლო პროცესი დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 13/12/2019 წლის №04-152 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 16/07/2026 წლის №04-123 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს: პროფესიული სტუდენტის უფლება/მოვალეობებს, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს, მობილობის განხორციელების პირობებს, მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა, ხოლო პროგრამითა და მოდულებით მისაღწევი შედეგები, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, დაწესებულება__მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენს რეაგირებას მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

გარდა ამისა, დაწესებულების შიდა რეგულაციებით მკაფიოდ არის განსაზღვრული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ), მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესები. პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების, აგრეთვე დოკუმენტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპების დაცვითა და დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიას და დარგობრივი, აქტუალური ტექნოლოგიების ინტეგრირებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აუდიტორიების და პრაქტიკული მეცადინეობების სივრცეების უშუალო დათვალიერებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო გარემო სრულად არის აღჭურვილი დარგის შესაბამისი თანამედროვე ხელსაწყოებით, დანადგარებითა და ტექნიკური საშუალებებით, უმეტესად ესაა აგრარული ტექნიკის შიგაწვის ძრავას, ტრანსმისიისა და შასის სადიაგნოსტიკო და ტექნიკური მომსახურების ტექნიკური საშუალებები, რომელიც გამოიყენება აგრარული ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის და შეკეთების პროცესში, რაც სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერის შესაძლებლობას აძლევს. პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუების დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სწავლების ინტერაქტიული ფორმატები და ციფრული თუ მატერიალური ტექნოლოგიების მუდმივი გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის მათ მოტივაციას, ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მაქსიმალურად პასუხობს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

დაწესებულებას სამართლებრივ დონეზე მკაფიოდ აქვს მოწესრიგებული და გარანტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტთა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები. კოლეჯის მზაობა აღნიშნული მიმართულებით დასტურდება წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით — კოლეჯის დირექტორის 13.12.2019 წლის №04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელშიც უახლესი ცვლილება განხორციელდა დირექტორის 2026 წლის 16 ივლისის №04-123 ბრძანებით. დოკუმენტის მე-5 თავი („სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა“) პირდაპირ უზრუნველყოფს შემდეგ სამართლებრივ გარანტიებს:

- ✓ **ინკლუზიური გარემო და მხარდაჭერა (მუხლი 14):** კოლეჯი იღებს ვალდებულებას, დანერგოს ინკლუზიური განათლება, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში. აღნიშნული პროცესი წარიმართება კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით. გარდა ამისა, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ✓ **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების საფუძვლები (მუხლი 15):** წესით მკაფიოდ არის განსაზღვრული ის შემთხვევები, როდესაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება. აღნიშნული უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტებისთვის, რაზეც გადაწყვეტილებას იღებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი — ინტერდისციპლინური გუნდის დასკვნისა და პროფესიული მასწავლებლის რეკომენდაციის საფუძველზე, ხოლო უშუალოდ გეგმას ადგენს შესაბამისი კომისია. გარდა ამისა, წესი ითვალისწინებს ისგ-ის შემუშავებას პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ ან ოპტიმიზირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანისას, აგრეთვე ფორსმაჟორული ვითარების დროს. სსსმ შემთხვევებისგან განსხვავებით, ამ დროს ისგ-ის შედგენის ინიციატორია სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხოლო უშუალო გეგმას შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.
- ✓ **ისგ-ის შემუშავების გუნდური პრინციპი:** სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იქმნება სპეციალური კომისია. კომისიის შემადგენლობაში სავალდებულო წესით შევლენ: პროფესიული მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენელი. შემუშავებულ გეგმას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
- ✓ **აკომოდაცია და მოდიფიკაცია:** წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაეფუძნება შესაბამის პროგრამას/მოდულს და საჭიროებისამებრ მოახდენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომების შეცვლას, უშუალოდ სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე).
- ✓ **სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების სისტემა:** განსაზღვრულია, რომ ისგ-ის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება მოხდება მოდულის სტანდარტულ მოთხოვნებთან თავსებადობით.

დაწესებულებას გააჩნია მეთოდოლოგიური და სამართლებრივი მზაობა, რათა პროგრამების განხორციელების ეტაპზე დროულად და ეფექტიანად უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება, შესაბამისი სასწავლო გარემოს ადაპტირება და ხელი შეუწყოს მათ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევაში. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯში მოქმედებს დირექტორის **12/07/2021 წლის №04-69 ბრძანებით** დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“, (განხორციელდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის **2026 წლის 15 ივლისის №04-120 ბრძანებით**);

აღნიშნული წესის მე-17 მუხლი პირდაპირ არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და ხელშეწყობის პროცედურებს:

- **ინდივიდუალური მიდგომა:** წესის შესაბამისად, სსსმ პირთა ჩარიცხვა ხორციელდება მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინებით (მუხლი 17, პუნქტი 1).
- **თანაბარი ხელმისაწვდომობა და კვოტირება:** ახალი პროგრამები სრულად ხელმისაწვდომია სსსმ აპლიკანტებისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში (მუხლი 17, პუნქტი 2).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- **მულტიდისციპლინური შეფასება:** კოლეჯი უზრუნველყოფს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტების რეკომენდაციების სიღრმისეულ განხილვას და გადაწყვეტილებას ჩარიცხვის თაობაზე იღებს ამ დასკვნებზე დაყრდნობით (მუხლი 17, პუნქტები 3 და 5).
- **სამუშაო გარემოში სწავლება:** იმ მოდულების შემთხვევაში, სადაც სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სსსმ აპლიკანტთა შერჩევა მოხდება სპეციალურად გაწერილი, ადაპტირებული პროცედურების შესაბამისად (მუხლი 17, პუნქტი 4).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების ანალიზითა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯს გააჩნია სრული მზაობა, რათა დაგეგმილი პროგრამების რეალიზებისას უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების იდენტიფიცირება და ხელი შეუწყოს მათ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევაში.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ კოლეჯის მიერ განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული მიდგომით, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში კოლეჯს მოდულის ,,კომბაინის სამკალი, სალეწი, საბერტყი და დამაქუცმაცებელი მექანიზმების ტექნიკური სერვისი“ სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით 2026 წლის 12 მაისს გაფორმებული აქვს მემორანდუმი რაიონულ კოოპერატივთან ,,დვალეთი“, მემორანდუმის დოკუმენტის თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია შეძლებს ერთდროულად მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი, დაუთმოს მათ მის მფლობელობაში არსებული საწარმოს მატერიალური რესურსი და ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის განხორციელებას, წარმოდგენილ მემორანდუმს დანართი 1 - ის სახით თან ახლავს მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე ვიზიტი, გადამოწმდა და დადასტურდა მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მოწყობილობა - დანადგარების არსებობა; გასაუბრება ჩატარდა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, რომელთაც გამოთქვეს მზაობა სრული მხარდაჭერა აღმოუჩინონ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შეთანხმებული მოდულის განხორციელების პროცესში, დაუთმონ მათ შესაბამისი მოწყობილობა და სივრცეები.

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული ტექნიკის შეკეთება“ სალექციო მეცადინეობები ჩატარდება A და B სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს მის საკუთრებაში არსებული C სასწავლო გარემო და პარტნიორი ორგანიზაციის სივრცე შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსით, ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. C გარემოში მოთავსებულია პირველადი სამედიცინოო დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი. გამოკრულია მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, ძალური დანადგარები (ამწეები, ჩარხები და ა.შ.) აღჭურვილია უსაფრთხოდ ექსპლუატაციის პიქტოგრამებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმით დასტურდება პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება შექმნას სტუდენტებისთვის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო, ჩაუტაროს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები და იზრუნოს მათი უსაფრთხოების დაცვაზე პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასწავლო გეგმა/გეგმები;
- ✓ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ✓ *პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობითი მემორანდუმი;*
- ✓ *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ტექნიკის შეკეთება“ პაკეტი*
- ✓ *ინტერვიუს შედეგები;*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით და რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 15 ივლისს (ბრძანება N04–121), შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. აღნიშნული დოკუმენტის მე-5 და მე-9 მუხლები, რომლებიც ვერიფიკაციის პროცესსა და შესაბამისი დასკვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მომზადებას არეგულირებს, პირდაპირ განსაზღვრავს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობას. რეგულაციების თანახმად, კოლეჯის შიდა მონიტორინგისა და ვერიფიკაციის ჯგუფი მუშაობის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, თუ რამდენად შეესაბამება სტუდენტების შეფასების პროცესი და გამოყენებული ინსტრუმენტები დადგენილ სტანდარტებს, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი სახის მიკერძოება და მაქსიმალურად იყოს დაცული თითოეული პროფესიული სტუდენტის ინტერესი. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა **ინტეგრირებული მოდულების შეფასების წესს** (სწავლის შედეგების დადასტურების კონვერტაცია), რაც რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის №48/ნ ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული წესი და ინტეგრირებული მოდულების შეფასებისა და სწავლის შედეგების კონვერტაციის მექანიზმები ასახულია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შიდა რეგულაციების **მე-5 მუხლსა (ვერიფიკაციის პროცესი) და მე-12 მუხლში (სასწავლო პროცესისა და პროგრამის შეფასება/კვლევები)**, ასევე შესაბამის დანართებსა და მასწავლებელთა გამოკითხვის ინსტრუმენტებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა სრული ინფორმირებულობა და წესების პრაქტიკული გამოყენება.

აღნიშნული დოკუმენტის **მუხლი 5** (ვერიფიკაციის პროცესი) და **მუხლი 9** (ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნის განხილვა) პირდაპირ არეგულირებს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას:

- **ვალიდურობა:** ფასდება შეფასების სიზუსტე და შესაბამისობა, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების პროცესს გეგმავს მიზნის მიხედვით. შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია უშუალოდ დასახული მიზნიდან გამომდინარე (მაგალითად, პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოიყენება დაკვირვება და სხვ.), რაც სტუდენტს აძლევს რეალურ შესაძლებლობას, სრულყოფილად წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული უნარები.
- **სანდოობა:** შეფასება მიიჩნევა სანდოდ, თუ მისი შედეგები ერთგვაროვანი და თანმიმდევრულია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და რა დროს აფასებს სტუდენტის სწავლის შედეგებს. ეს მიიღწევა იმით, რომ შეფასების პროცესი ეფუძნება მკაფიოდ და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც უცვლელი რჩება კონკრეტული დროის განმავლობაში.
- **გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა:** შეფასების პროცესში ნათლად უნდა იყოს გაწერილი კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც სტუდენტისთვის წინასწარ არის ცნობილი და ხელმისაწვდომი. შეფასების პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი ნებისმიერი მეთოდის (წერითი, პრაქტიკული დავალება, ტესტი და სხვა) გამოყენების დროს. ამასთანავე, სასურველია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა მოხდეს სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით.
- **მონიტორინგი და ვერიფიკაცია:** კოლეჯის ვერიფიკაციის ჯგუფი თავის საბოლოო დასკვნაში მკაფიოდ აფასებს, აღწერს და აანალიზებს, თუ რამდენად იყო დაცული პროფესიული სტუდენტების შეფასებისას ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები.

ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მარეგულირებელი წესით“პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ ვერიფიკაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ძირითად ინსტრუმენტს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ამ მექანიზმის მიზანი სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესება და პროფესიული მასწავლებლების მხარდაჭერაა. რეგულაციები ითვალისწინებს, რომ შიდა ვერიფიკაცია უნდა განხორციელდეს სამი ძირითადი მიმართულებით:

- ✓ შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის;
- ✓ უშუალოდ პროცესისა ;
- ✓ სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შემოწმების გზით.

მარეგულირებელ ჩარჩოში დეტალურად არის გაწერილი ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს შეფასების სისტემა, როგორიცაა ვალიდურობა და სანდოობა. რეგულაციების მიხედვით, ვალიდურობა მოითხოვს, რომ მასწავლებელმა პროცესი დაგეგმოს დასახული მიზნის შესაბამისად, გამოიყენოს სწორი ინსტრუმენტები და სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა, მტკიცებულებებით დაადასტუროს თავისი კომპეტენცია. სანდოობის პრინციპი კი უზრუნველყოფს შედეგების სტაბილურობასა და მიუკერძოებლობას დროში. ამასთანავე, წესდებით გარანტირებულია გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვა, რაც გულისხმობს კრიტერიუმების წინასწარ გაცნობასა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას.

პროცედურულ ნაწილში რეგულაციები მკაფიოდ ანაწილებს პასუხისმგებლობებს: პროცესის მართვაზე პასუხისმგებლად განსაზღვრულია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება დამოუკიდებლად განახორციელოს არადარგობრივი ვერიფიკაცია. დარგობრივი შემოწმებისთვის კი დოკუმენტი ითვალისწინებს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით სპეციალური ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნას, რომელშიც შეიძლება შევიდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, დარგის ექსპერტები, მოწვეული სპეციალისტები ან სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდის წევრები. ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისთვის წესში პირდაპირ არის ჩადებული შეზღუდვა, რომ ჯგუფში არ დაიშვება პირი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შესაფასებელი ინსტრუმენტის შემუშავებასა და ვალიდაციაში.

რეგულაციები ასევე პრევენციულად განსაზღვრავს შესაძლო რისკ-ფაქტორებს (დამწყები მასწავლებელი, დაბალი შეფასებები, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე და სხვა) და ადგენს შერჩევის წესს, რომლის თანახმადაც, შემთხვევითი პრინციპით უნდა შემოწმდეს სტუდენტების 50%. ამასთან, დოკუმენტი აძლევს ჯგუფს უფლებამოსილებას, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ხმათა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება მთელი ჯგუფის სრულ შემოწმებაზე.

ასევე მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული რეაგირების ვადები: ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დასკვნის მომზადებისა და დირექტორისთვის წარდგენისთვის გაწერილია 5 სამუშაო დღე, ხოლო გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობისთვის — ასევე 5 სამუშაო დღე. ეს სამოქმედო გეგმა, წესის მიხედვით, შეიძლება ინტეგრირდეს კოლეჯის წლიურ გეგმაში ან ჩამოყალიბდეს ინდივიდუალურ გეგმად კონკრეტული მასწავლებლისა თუ მოდულისთვის. ამგვარად, კოლეჯის არსებული რეგულაციები სრულად და დეტალურად ფარავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მთელ ციკლს, რაც ახალი პროგრამების ავტორიზაციისთვის მყარ წინაპირობას ქმნის.

ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებული დირექტორის 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 16.07.2026, ბრძანება N04-123) 24-ე მუხლის შესაბამისად, დაწესებულებაში სრულად არის მოწესრიგებული შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი. რეგულაციის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეფასების მონაცემები და მტკიცებულებები სათანადო აღრიცხვისთვის გადასცეს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მათ აფიქსირებს სპეციალურ ელექტრონულ ან მატერიალურ ჟურნალში. წესით განსაზღვრულია, რომ უშუალოდ შეფასების მტკიცებულებები უსაფრთხოდ ინახება 3 წლის ვადით, რომლის ათვლაც იწყება პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში დეტალურად იქნა შესწავლილი და შეფასებული დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მართვისა და შეფასების სისტემის პრაქტიკული ფუნქციონირება. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების რეალურობისა და პროცესის მდგრადობის დასადასტურებლად, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არქივიდან უშუალოდ გამოთხოვილ იქნა კონკრეტულ მოდულებთან დაკავშირებული შეფასების მტკიცებულებათა პაკეტები და სტუდენტთა ნამუშევრები. გამოთხოვილი მასალების სიღრმისეულმა ანალიზმა აჩვენა თუ როგორ იყო შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები და რამდენად სწორად პასუხობდა ისინი დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, დადგინდა, რომ შეფასების ინსტრუმენტები შემუშავებულია მოდულის სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების სრული დაცვით; გამოყენებული დავალებები, საკონტროლო ფურცლები და რუბრიკები ვალიდური, ავთენტური და შინაარსობრივად გამართულია, რაც სრულად უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ კომპეტენციების დადასტურების ობიექტურ, გამჭვირვალე და სანდო შეფასებას.

აღნიშნული რეგულაცია და არსებული პრაქტიკა სრულად უზრუნველყოფს საარქივო დაცულობას, გამჭვირვალობასა და შესაბამისი ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს არა მხოლოდ ფაქტობრივი შედეგების აღრიცხვაზე, არამედ თითოეული პროფესიული სტუდენტის შემდგომ განვითარებასა და მხარდაჭერაზე. აღნიშნული მიდგომა გარანტირებულია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებული დირექტორის 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 16.07.2026, ბრძანება N04-123) და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (დამტკიცებული დირექტორის 11.03.2019 წლის N04-26 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 15.07.2026, ბრძანება N04–121).

დოკუმენტების თანახმად, შეფასების შედეგების სტუდენტის განვითარებისთვის გამოყენება რამდენიმე ძირითადი რეგულაციითა და მექანიზმით მიიღწევა: პირველ რიგში, კოლეჯის რეგულაციებით განსაზღვრულია სავალდებულო უკუკავშირის პრინციპი. მასწავლებელი ვალდებულია შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასრულებისთანავე თითოეულ სტუდენტს მიაწოდოს კონსტრუქციული და დეტალური უკუკავშირი. ეს უკუკავშირი ორიენტირებულია სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაზე, რაც მას ეხმარება გააცნობიეროს საკუთარი პროგრესი და დაინახოს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული გზები. წესი ასევე ითვალისწინებს განმეორებითი შეფასებისა და კონსულტაციების მექანიზმს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი, შეფასების შედეგები გამოიყენება მისი ინდივიდუალური საჭიროებების განსასაზღვრად. მასწავლებელი ნიშნავს დამატებით კონსულტაციებს, აძლევს სტუდენტს მიზნობრივ რეკომენდაციებს და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს მას განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლებას. ეს პროცესი უზრუნველყოფს, შეფასება ემსახურება რეგულაციებით განსაზღვრულ წესს, კერძოდ, უზრუნველყოფს სტუდენტის კომპეტენციის საბოლოო დადასტურებასა და განვითარებას.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების შედეგების გლობალურ ანალიზს. მოდულების/პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების ანალიზი გამოიყენება თავად სწავლების მეთოდოლოგიის დასახვეწად, შეფასების ინსტრუმენტების კორექტირებისა და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. შესაბამისად, რეგულაციების დონეზე გარანტირებულია, რომ შეფასების შედეგები წარმოადგენს სტუდენტის აკადემიური და პროფესიული ზრდის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რითაც აღნიშნული ინდიკატორი სრულად არის დაკმაყოფილებული.

ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.08.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------